



www.gncc.ge

სამაუწყებლო ბაზრის ზოგადი მიმოხილვა კონკურსის პირობები და შეფასების მეთოდოლოგია

ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე მიგრაცია და შეცვლილი ბიზნეს მოდელი

ანალოგური მიწისზედა ტელემაუწყებლობა



ერთი სამაუწყებლო სიხშირე



ერთი სამაუწყებლო ქსელი



ერთი სატელევიზიო არხი

ციფრული მიწისზედა ტელემაუწყებლობა



ერთი სამაუწყებლო სიხშირე



ერთი სამაუწყებლო ქსელი



15-მდე სატელევიზიო არხი

საკანონმდებლო ცვლილებები/ ტელემაუწყებელთა ავტორიზაციის რეჟიმი

2015 წლიდან ტელემაუწყებლობის /სატელევიზიო პროგრამის წარმოების საქმიანობა იმიჯნება ელექტრონული საკომუნიკაციო - ციფრული მაუწყებლობისათვის განკუთვნილი - ქსელების უზრუნველყოფის საქმიანობისაგან

უქმდება ტელემაუწყებელთა ლიცენზირების რეჟიმი, სადაც გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ტელე-სამაუწყებლო ბაზარზე დაშვების გამარტივებული ფორმა, კერძოდ, ტელემაუწყებელთა **ავტორიზაციის ერთიანი წესი**, რომელიც საშუალებას მისცემს ტელემაუწყებელს, მის მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამა გაავრცელოს მისთვის სასურველი, მათ შორის, ციფრული მიწისზედა ღია საეთერო ქსელით


მოქმედ მაუწყებეთა რაოდენობა

ეროვნული საეთერო
მაუწყებლები




3

ადგილობრივი საეთერო
მაუწყებლები



29


სხვა ავტორიზებული/თანამგზავრული
ლიცენზის მფლობელი მაუწყებლები



35

„Pay TV” აბონენტების პენეტრაცია ციფრული და ანალოგური პლატფორმების კრილში (თვე/2014წლის იანვარი)

საქართველო




www.gncc.ge


პენეტრაცია დათვლილია შემდეგი ფორმულით - რეგიონში/ქალაქში pay-TV მაუწყებლობის მიმღები ოჯახების რაოდენობა (ერთ აბონენტად ითვლება ასევე ერთი ოჯახისათვის რამდენიმე ტელევიზორზე მიწოდებული მომსახურება) შეფარდებული რეგიონში/ქალაქში რეგისტრირებული/ მაცხოვრებელი ოჯახების (შინამეურნეობის) რაოდენობასთან

„Pay TV“ აბონენტების პენეტრაცია ციფრული და ანალოგური პლატფორმების კრილში (თვე/2013 წლის მაისი)

საქართველო



„Pay TV” აბონენტები ტექნოლოგიების მიხედვით (თვე/2014წლის იანვარი)
საქართველო



- თანამგზავრული (ციფრული)
- კოაქსიალური (ანალოგური)
- IPTV - ოპტიკა (ციფრული)
- IPTV - DSL (ციფრული)
- კოაქსიალური (ციფრული)
- მიტრისი (ციფრული)
- MMDS (ციფრული)
- MMDS (ანალოგური)

კონკურსის პირობები

საკონკურსო განცხადებების მიღება -2014 წლის 2 მაისის 19:00 საათამდე

შეკითხვების წერლობითი ფორმით მიღება და მათზე წერილობითი პასუხების გამოქვეყნება - 2014 წლის 25 აპრილის 19:00 საათამდე;

მოსამზადებელი სხდომის ჩატარების თარიღი -2014 წლის 7 მაისის 13:00 საათი;

ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების თარიღი -2014 წლის 9 ივნისის 13:00 საათი;

კონკურსის ჩატარების თარიღი -2014 წლის 10 ივნისი 13:00 საათი

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილეობა ეზღუდება:

- ა) ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირს და სხვა საჯარო მოხელეს;
- ბ) პოლიტიკურ პარტიას;
- გ) იურიდიულ პირს, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს სახელმწიფო ან ამ პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი



კონკურსი ცხადდება ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ხუთი ლიცენზიის -№MUX-A, №MUX-B, №MUX-C, №MUX-D და №MUX-E მოსაპოვებლად



თითოეული ლიცენზიით განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური -1000.00 (ერთი ათასი) ლარი;



კონკურსის ფარგლებში განსაზღვრული იქნება შემდეგი სახის **10 ლოტი**:

1.	A+0	5.	B+2
2.	A+1	7.	A+B
3.	A+2	8.	A+B+1
4.	B+0	9.	A+B+2
5.	B+1	10.	A+B+3



თითოეული ლიცენზიის მაძიებელი პირი უფლებამოსილი იქნება წარმოადგინოს საკონკურსო განაცხადი ზემოთ განსაზღვრულ 10-ვე ლოტზე.

ერთი პირის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა ლოტი წარმოადგენს დამოუკიდებელ საკონკურსო განაცხადს და წარმოდგენილი უნდა იქნეს ცალკე დალუქულ კონვერტში.

ყოველი ლიცენზიის მაძიებლის მიერ შემოტანილი ყოველი საკონკურსო განაცხადი ფასდება ინდივიდუალურად, ისევე როგორც ყოველი ლიცენზიის მაძიებლის მიერ შემოტანილი ყოველი საკონკურსო განაცხადი, რომელიც სხვა კონკურსის მონაწილის მიერ შემოტანილ საკონკურსო განაცხადებთან ერთად ქმნის კომბინაციას, ფასდება კომბინირებულად.



კომბინაცია არის ორის სხვადასხვა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი **A+X** და **B+X** ლოტების ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრული მულტიპლექსების ჯამური რაოდენობა არ აღემატება 5-ს. მაგალითად: ორი სხვადასხვა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ლოტი **A+1** და **B+2** წარმოადგენს კომბინაციას. ხოლო **A+2** და **B+3** არ ქმნის კომბინაციას.



ერთი პირის მიერ წარმოდგენილი **A+1** და **B+2** ლოტი (ან ნებისმიერი სხვა ლოტი) არ წარმოადგენს კომბინაციას, თუმცა ფასდება ინდივიდუალურად.

ლოტების შესაძლო კომბინაციები

1.	A+0	და	B+0	5.	A+1	და	B+2
2.	A+0	და	B+1	6.	B+0	და	A+1
3.	A+0	და	B+2	7.	B+0	და	A+2
4.	A+1	და	B+1	8.	B+1	და	A+2



კონკურსის პირობები

ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს საკონკურსო განცხადებით, რომელსაც თან ერთვის საკონკურსო წინადადება;

საკონკურსო წინადადება

საკონკურსო წინადადების სათანადოდ შევსებულ ტიპიური ფორმა

კონკრეტული ლოტის შესაბამისი ამოწურვადი რესურსით სარგებლობისათვის კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული მაქსიმალური საფასური (ლარი)

A ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით (ასევე მომხმარებლებისათვის უფასოდ კრიპტო-კოდირებული ფორმით) გავრცელების ყოველთვიური ზედა (მაქსიმალური) ზღვრული საფასური (1მგბ/წმ/ლარი) დღგ-ს გარეშე

B ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით (ასევე მომხმარებლებისათვის უფასოდ კრიპტო-კოდირებული ფორმით) გავრცელების ყოველთვიური (მაქსიმალური) ზედა ზღვრული საფასური (1მგბ/წმ/ლარი) დღგ-ს გარეშე

მოქმედ ეროვნულ საეთერო მაუწყებელთან/მაუწყებლებთან გაფორმებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები (რაოდენობა)

მოქმედ სხვა მაუწყებელთან/მაუწყებლებთან გაფორმებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები(რაოდენობა)

ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველყოფის ტექნიკურ წინადადება, რომელიც უნდა მოიცავდეს



ქსელის აგების დეტალურ გეგმას, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს MUX-A და/ან MUX-B ლიცენზიებით განსაზღვრული მულტიპლექს პლათფორმების ფომირებისათვის განსახორციელებელ სამუშაოთა ყოველთვიურ დეტალურ განრიგს 2014 წლის 1 აგვისტოდან 2015 წლის 17 ივნისამდე პერიოდში

ინფორმაციას ქსელის აგების მოდელისა და ძირითადი გადამცემი სადგურების განთავსების სავარაუდო ადგილის (გეოგრაფიული კოორდინატების) შესახებ

ინფორმაციას სადისტრიბუციო ქსელის მოდელის შესახებ

ინფორმაციას გადამცემი და სადისტრიბუციო ქსელის აგების სავარაუდო კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების შესახებ

განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმას, ინფორმაციას დაფინანსების წყაროების შესახებ და დაფინანსების წყაროების დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტაციას, რომელიც საშუალებას მისცემს კომისიას დარწმუნდეს ლიცენზიის მაძიებლის ფინანსურ შესაძლებლობებში.

საბანკო გარანტიას **500,000.00** (ხუთასი ათას) ლარზე, ან მისი ექვივალენტის ოდენობით უცხოურ ვალუტაში, მოქმედს **2015 წლის 17 ივნისამდე**;

ტელემაუწყებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას/ხელშეკრულებებს

საკონკურსო წინადადების ტიპიურ ფორმაში მონიშნული ლოტით გათვალისწინებული ლიცენზიების შესაბამისი რაოდენობის სალიცენზიო მოსაკრებლის (**1000 ლარი**) გადახდის დამადასტურებელ საბუთ(ებ)ს

ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ფიზიკური პირის შემთხვევაში – შესაბამისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლს;

ლიცენზიის მაძიებლის წარმომადგენლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელ ნოტარიულად დამოწმებულ დოკუმენტს

დისკვალიფიკაციის საფუძვლები



საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან თუნდაც ერთ-ერთი, არ შეესაბამება კონკურსით განსაზღვრულ მოთხოვნებს

წარმოდგენილია ყალბი (არასწორი) ინფორმაცია;

წარმოდგენილია ალტერნატიული გეოგრაფიული კოორდინატების შესაბამისად ქსელის დაგეგმარების პროექტის, რომელიც არ იწარმოება დამტკიცებული კომისიის მიერ

	კრიტერიუმი		მაქსიმალური ქულა	განაცხადების ინდივიდუალურად შეფასება		განაცხადების კომბინირებულად შეფასება
				კალკულაციის ფორმულა	შენიშვნა	კალკულაციის ფორმულა
1)	K	ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური	12	$K = (P_i / P_{max}) \times 12$		$K = (P_{com/i} / P_{max}) \times 12$
2)	R	A და/ან B ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელებში სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით გავრცელების ზედა (მაქსიმალური) ზღვრული საფასური	78	$R = R_a + R_b$	თუ წარმოდგენილი ლოტის ფარგლებში არ მოიაზრება A ან B მულტიპლექს პლათფორმა, ლოტის ინდივიდუალურად შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სახის კალკულაციის ფორმულა	$R = R_a + R_b$
2.1	R_a	A ლოტით განსაზღვრულ ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით გავრცელების საფასური	39	$R_a = (C_{min}^a / C_i^a)^3 \times 39$	$R = R_a / 39 \times 78$	$R_a = (C_{min}^a / C_i^a)^3 \times 39$
2.2	R_b	B ლოტით განსაზღვრულ ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით გავრცელების საფასური	39	$R_b = (C_{min}^b / C_i^b)^3 \times 39$	$R = R_b / 39 \times 78$	$R_b = (C_{min}^b / C_i^b)^3 \times 39$
3)	M	მოქმედ მაუწყებელთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულები (ურთიერთგანზრახვის შეთანხმება)	10	$M = M_a + M_b$		$M = M_a + M_b$
3.1	M_a	მოქმედ ეროვნულ საეთერო მაუწყებელთან/მაუწყებლებთან გაფორმებული ხელშეკრულება /ხელშეკრულებები	6	$M_a = (B_i / B_{max}) \times 6$		$M_a = \frac{B_i(a) + B_i(b)}{B_{max}} \times 6$
3.2	M_b	მოქმედ სხვა მაუწყებელთან/მაუწყებლებთან გაფორმებული ხელშეკრულება /ხელშეკრულებები	4	$M_b = (O_i / O_{max}) \times 4$		$M_b = \frac{O_i(a) + O_i(b)}{O_{max}} \times 4$
	T	ქულების მაქსიმალური ოდენობა	100	$T = K + R + M$		$T = K + R + M$

ლოტების ინდივიდუალურად და კომბინირებულად შეფასება

ყოველი კონრეტული შემოთავაზების საბოლოო ქულა (**T**) წარმოადგენს თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად მიღებული ქულების ჯამს, კერძოდ

$$T = K + R + M$$

შემოთავაზების მაქსიმალური ქულა (**T**) შესაძლებელია უდრიდეს მაქსიმუმ - 100-ს.

K- კრიტერიუმის მიხედვით განაცხადების ინდივიდუალურად შეფასება

- ა) **K** - კრიტერიუმის მიხედვით საკონკურსო შემოთავაზება შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 12 ქულით;
- ბ) **K** - კრიტერიუმის შესაბამისი ქულა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$K = (P_i / p_{max}) \times 12$$

სადაც:

P_i - არის კონკურსში მონაწილის მიერ კონკრეტული ლოტის ფარგლებში შემოთავაზებული და ერთ მულტიპლექსზე გადაანგარიშებული სიხშირული რესურსით სარგებლობის კორექტირებული ფასი;

P_{max} - არის კონკურსის მონაწილეების მიერ ინდივიდუალური ლოტების ფარგლებში შემოთავაზებულ **P_i**-ებსა და ლოტების კომბინირებულად შეფასებისას გაანგარიშებული **P_{com/i}** -ს შორის მაქსიმალური მაჩვენებელი.

გ) P_i – (კონკურსში მონაწილის მიერ კონკრეტული ლოტის ფარგლებში შემოთავაზებული და ერთ მულტიპლექსზე გადაანგარიშებული სიხშირული რესურსით სარგებლობის კორექტირებული ფასი) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$P_i = (S_i / N) * w$$

სადაც:

S_i - არის კონკურსის მონაწილის მიერ კონკრეტულ ლოტის ფარგლებში სულ შემოთავაზებული სიხშირული რესურსით სარგებლობის ფასი;

N - არის კონკრეტული ლოტის ფარგლებში არსებული მულტიპლექსების რაოდენობა;

w - არის ყოველი კონკრეტული ლოტის შესაბამისი წონა პროცენტებში.

A	110,0%	1,1
B	100,0%	1
A+1	95,0%	0,95
B+1	90,0%	0,9
A+2	83,3%	0,833
B+2	80,0%	0,8
A+B	84,0%	0,84
A+B+1	77,3%	0,773
A+B+2	70,0%	0,7
A+B+3	62,4%	0,624

K – კრიტერიუმის მიხედვით განაცხადების კომბინირებულად შეფასება

- ა) **K** - კრიტერიუმის მიხედვით ორი სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო შემოთავაზება (რომელიც ქმნის კომბინაციას) შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 12 ქულით;
- ბ) **K** - კრიტერიუმის შესაბამისი ქულა განაცხადების კომბინირებულად შეფასებისას გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$K = (P_{com/i} / P_{max}) \times 12$$

სადაც:

$P_{com/i}$ - არის ორი სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილი ლოტის ფარგლებში შემოთავაზებული და ერთ მულტიპლექსზე გადაანგარიშებული სიხშირული რესურსით სარგებლობის კორექტირებული ფასი;

P_{max} - არის კონკურსის მონაწილეების მიერ ინდივიდუალური ლოტების ფარგლებში შემოთავაზებულ P_i -ებსა და ლოტების კომბინირებულად შეფასებისას კომბინაციური წყვილწებისათვის გაანგარიშებული $P_{com/i}$ -ს შორის მაქსიმალური მაჩვენებელი.

გ) $P_{com/i}$ – (ორი სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილი ლოტის ფარგლებში შემოთავაზებული და ერთ მულტიპლექსზე გადაანგარიშებული სიხშირული რესურსით სარგებლობის კორექტირებული ფასი) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$P_{com/i} = \frac{S_i(a) + S_i(b)}{N} W$$

სადაც:

$S_i(a)$ და $S_i(b)$ არის - კომბინაციური წყვილის ფარგლებში სხვადასხვა კომპანიების მიერ შესაბამის ორ კონკრეტულ ლოტზე შემოთავაზებული ფასები;

W - არის ყოველი კონკრეტული კომბინაციური წყვილის შესაბამისი წონა პროცენტებში;

N - არის კომბინაციური წყვილის ფარგლებში არსებული მულტიპლექსების რაოდენობა.

A+0 და B+0			126,0%	1,26
A+1 და B+1			111,0%	1,11
A+0 და B+1	ან	B+0 და A+1	116,0%	1,16
A+0 და B+2	ან	B+0 და A+2	105,0%	1,05
A+1 და B+2	ან	B+1 და A+2	103,2%	1,032

R – კრიტერიუმის მიხედვით განაცხადების კომბინირებულად და ინდივიდუალურად შეფასება

- ა) R - კრიტერიუმის მიხედვით საკონკურსო შემოთავაზება შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 78 ქულით;
- ბ) R - კრიტერიუმის შესაბამისი ქულა წარმოადგენს R_a და R_b ქვეკრიტერიუმებით მიღებული ქულების ჯამს და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$R = R_a + R_b$$

R_a – ქვეკრიტერიუმის შესაბამისი ქულის გამოთვლის ფორმულა

R_a - ქვეკრიტერიუმის მიხედვით საკონკურსო შემოთავაზება (როგორც კომბინირებულად, ასევე ინდივიდუალურად) შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 39 ქულით და ქვეკრიტერიუმის შესაბამისი ქულა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$R_a = (C_{\min}^a / C_i^a)^3 \times 39$$

სადაც:

C_i^a - არის კონკურსის მონაწილის მიერ კონრეტული შემოთავაზებით განსაზღვრული (A ლოტის შესაბამის ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში) სატელევიზიო კონტენტის გავრცელების საფასური;

C_{\min}^a - არის კონკურსის მონაწილეების მიერ (A ლოტის შესაბამის ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში) სატელევიზიო კონტენტის გავრცელებისთვის შემოთავაზებულ საფასურთა (C_i^a -ს) შორის მინიმალური მაჩვენებელი.

R_b – ქვეკრიტერიუმის შესაბამისი ქულის გამოთვლის ფორმულა

R_b - ქვეკრიტერიუმის მიხედვით საკონკურსო შემოთავაზება (როგორც კომბინირებულად, ასევე ინდივიდუალურად) შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 39 ქულით და ქვეკრიტერიუმის შესაბამისი ქულა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$R_b = (C_{\min}^b / C_i^b)^3 \times 39$$

სადაც:

C_i^b - არის კონკურსის მონაწილის მიერ კონრეტული შემოთავაზებით განსაზღვრული (B ლოტის შესაბამის ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში) სატელევიზიო კონტენტის გავრცელების საფასური;

C_{\min}^b - არის კონკურსის მონაწილეების მიერ (B ლოტით განსაზღვრულ ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში) სატელევიზიო კონტენტის გავრცელებისთვის შემოთავაზებულ საფასურთა (C_i^b -ბს) შორის მინიმალური მაჩვენებელი.

თუ კონკურსის მონაწილის მიერ განსაზღვრული ინდივიდუალური შემოთავაზების (ლოტის) ფარგლებში არ მოიაზრება A ან B ლიცენზიის შესაბამისი მულტიპლექს პლათფორმა, ლოტის ინდივიდუალურად შეფასებისას R კრიტერიუმის შესაბამისი ქულა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

ა) თუ კონკურსის მონაწილის მიერ განსაზღვრული შემოთავაზების (ლოტის) ფარგლებში არ მოიაზრება B ლოტით განსაზღვრული მულტიპლექს პლათფორმა:

$$R = R_a / 39 * 78$$

ბ) თუ კონკურსის მონაწილის მიერ განსაზღვრული შემოთავაზების (ლოტის) ფარგლებში არ მოიაზრება A ლოტით განსაზღვრული მულტიპლექს პლათფორმა:

$$R = R_b / 39 * 78$$

M – კრიტერიუმის მიხედვით განაცხადების ინდივიდუალურად შეფასება

- ა) M - კრიტერიუმის მიხედვით საკონკურსო შემოთავაზება შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;
- ბ) M - კრიტერიუმის შესაბამისი ქულა წარმოადგენს M_a და M_b ქვეკრიტერიუმებით მიღებული ქულების ჯამს და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$M = M_a + M_b$$

M_a -ქვეკრიტერიუმის შესაბამისი ქულის გამოთვლის ფორმულა

- ა) M_a -ქვეკრიტერიუმის მიხედვით საკონკურსო შემოთავაზება შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 6 ქულით და ქვეკრიტერიუმის შესაბამისი ქულა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$M_a = (B_i/B_{max}) \times 6$$

სადაც:

B_i - არის კონკურსის მონაწილის მიერ კონკრეტული ინდივიდუალური საკონკურსო შემოთავაზებით წარმოდგენილი არსებულ ეროვნულ საეთერო მაუწყებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა;

B_{max} - აღნიშნავს დღეს მოქმედ ეროვნულ საეთერო მაუწყებელთა მაქსიმალურ ოდენობას, რომელსაც შეესაბამება 3-ს.

M_b – ქვეკრიტერიუმის შესაბამისი ქულის გამოთვლის ფორმულა

ა) M_b - ქვეკრიტერიუმის მიხედვით საკონკურსო შემოთავაზება შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 4 ქულით და ქვეკრიტერიუმის შესაბამისი ქულა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$M_b = (O_i / O_{max}) \times 4$$

სადაც:

O_i - არის კონკურსის მონაწილის მიერ კონკრეტული საკონკურსო შემოთავაზებით წარმოდგენილი არსებულ ადგილობრივ საეთერო და არასაეთერო მაუწყებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა;

O_{max} - არის კონკურსის მონაწილეების მიერ საკონკურსო წინადადებებით წარმოდგენილი O_i -ებსა და საკონკურსო წინადადებების კომბინირებულად შეფასებისას დაჯამებულ $O_i(a) + O_i(b)$ -ს შორის მაქსიმალური მაჩვენებელი.

M – კრიტერიუმის მიხედვით განაცხადების კომბინირებულად შეფასება

- ა) **M** - კრიტერიუმის მიხედვით ორი სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო შემოთავაზება (რომელიც ქმნის კომბინაციას) შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით
- ბ) **M** - კრიტერიუმის შესაბამისი ქულა წარმოადგენს **M_a** და **M_b** ქვეკრიტერიუმებით მიღებული ქულების ჯამს და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$M = M_a + M_b$$

M_a - ქვეკრიტერიუმის შესაბამისი ქულის გამოთვლის ფორმულა

- ა) **M_a** - ქვეკრიტერიუმის მიხედვით საკონკურსო შემოთავაზებათა კომბინაციური წყვილი შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 6 ქულით და ქვეკრიტერიუმის შესაბამისი ქულა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$M_a = \frac{B_i(a) + B_i(b)}{B_{max}} \times 6$$

სადაც:

B_i(a) და **B_i(b)** - არის კომბინაციური წყვილის ფარგლებში შესაბამისი ორი საკონკურსო შემოთავაზებით წარმოდგენილი (მოქმედ ეროვნულ საეთერო მაუწყებლებთან გაფორმებული) ხელშეკრულებების რაოდენობა;

B_{max} - აღნიშნავს დღეს მოქმედ ეროვნულ საეთერო მაუწყებელთა მაქსიმალურ ოდენობას, რომელსაც შეესაბამება **3**-ი.

M_b – ქვეკრიტერიუმის შესაბამისი ქულის გამოთვლის ფორმულა

ა) M_b - ქვეკრიტერიუმის მიხედვით საკონკურსო შემოთავაზებათა კომბინაციური წყვილი შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 4 ქულით და ქვეკრიტერიუმის შესაბამისი ქულა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$M_b = \frac{O_i(a) + O_i(b)}{O_{max}} \times 4$$

სადაც:

$O_i(a)$ და $O_i(b)$ - არის კომბინაციური წყვილის ფარგლებში შესაბამისი ორი საკონკურსო შემოთავაზებით წარმოდგენილი (მოქმედ ადგილობრივ საეთერო და არასათერო მაუწყებლებთან გაფორმებული) ხელშეკრულებების რაოდენობა;

O_{max} - არის კონკურსის მონაწილეების მიერ საკონკურსო წინადადებებით წარმოდგენილი O_i -ებსა და საკონკურსო წინადადებების კომბინირებულად შეფასებისას დაჯამებულ $O_i(a) + O_i(b)$ -ს შორის მაქსიმალური მაჩვენებელი..

დ) w – (ყოველი კონკრეტული ინდივიდუალური ლოტის შესაბამისი წონა პროცენტებში) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

ყოველი კონკრეტული ლოტის შესაბამისი წონის გაანგარიშების ფორმულა

ლოტის ფარგლებში არსებული თითოეული მულტიპლექსის წონათა ჯამი გაყოფილი ლოტის ფარგლებში არსებულ მულტიპლექსების რაოდენობაზე და გამრავლებული კონკურენციის მაჩვენებელზე თუ ლოტის ფარგლებში გათვალისწინებულია ორივე ღია საეთერო **A** და **B** ლოტის შესაბამისი სიხშირული რესურსი (კონკურენციის მაჩვენებელი მონაწილეობს მხოლოდ იმ ლოტებში სადაც გათვალისწინებულია ორივე ღია საეთერო A და B ლოტით განსაზღვრული ლიცენზია)

თითოეული მულტიპლექსის წონა

MUX A	MUX B	Pay-TV MUX 1	Pay-TV MUX 2	Pay-TV MUX 3	კონკურენციის მაჩვენებელი
110%	100%	80%	60%	40%	0,8

A	110,0%	1,1
B	100,0%	1
A+1	95,0%	0,95
B+1	90,0%	0,9
A+2	83,3%	0,833
B+2	80,0%	0,8
A+B	84,0%	0,84
A+B+1	77,3%	0,773
A+B+2	70,0%	0,7
A+B+3	62,4%	0,624

დ) W – (ყოველი კონკრეტული კომბინაციური წყვილის შესაბამისი წონა პროცენტებში) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

ყოველი კონკრეტული კომბინაციის შესაბამისი წონის გაანგარიშების ფორმულა კომბინაციის ფარგლებში არსებული თითოეული მულტიპლექსის წონათა ჯამი გაყოფილი კომბინაციის ფარგლებში არსებულ მულტიპლექსების რაოდენობაზე და გამრავლებული კონკურენციის მაჩვენებელზე

თითოეული მულტიპლექსის წონა				
MUX A	MUX B	Pay-TV MUX 1	Pay-TV MUX 2	კონკურენციის მაჩვენებელი
110%	100%	80%	60%	1.2

A+0 და B+0		126,0%	1,26
A+1 და B+1		111,0%	1,11
A+0 და B+1	ან B+0 და A+1	116,0%	1,16
A+0 და B+2	ან B+0 და A+2	105,0%	1,05
A+1 და B+2	ან B+1 და A+2	103,2%	1,032